№ 100
სამშაბათი, 8 მაისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

№ 100
სამშაბათი, 8 მაისი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათ დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება გნ. ოლგა თადეოზის ასულ ჯავჯავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

ქ. ქუთაისი.

ხუთშაბათს, 10 მაისს, ქალაქის თეატრში დანიშნულია

კონცერტი
კ. ფ. ზურაბიშვილისა

გ-ნ აკიმოვის (სკრიპკა) მონაწილეობით. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში.
(2—120—2)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სალოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—21)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика".

ტელეფონი № 741.

შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო აცხადებს, რომ 1901 წლის 11 მაისს, დღის 12 საათზედ, ქუთაისში, საბჭოს სადგომში,

საჯარო ვაჭრობა მოხდება,

რომლიზედაც იჯარით გაიცემა ღ. შიათურაში წირ-კვალის სამრეწველო გზაზედ სამის ხიდის გაკეთების საქმე, სამუშაო 2648 მანეთისა და 16 კაპეიკისა. ვაჭრობის მსურველთ უნდა წარადგინონ ვაჭრობის დაწყებამდის გირაო ფულად ანუ სარგებლიან ქაღალდებით ათი პროცენტი საიჯარო თანხისა. საჯარო ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ხარჯთ-აღრიცხვის გეგმისა და პირობების ნახვა ყოველ დღე შეიძლება საბჭოს სადგომში. (3—6—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში
ყორღანოვის ქუჩა, № 16.
ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
(10—6—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. ჟულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ზაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გოლოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

იძლევა

ქირით ხუთი ოთახი.

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. აუცრის ყვავილს კვირაობით—9—10 საათ.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არმანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-

ფელეტონი

მარიამ შოტლანდელი

ხუთ-მოქმედ. დრამა
თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.
თარგმანი ინ-ანისა.
(შემდეგი [*])

გამოსვლა XI.

დედოფალი და დარნლეი.

(დედოფალი აღელვებული გადი-გამოდის; დრო-გამოშვებით შედგება ხოლმე).

დარნლეი. (უძრავად სდგას ერთს ადგილას და დედოფალს შესჩერებს). არა, იგი ჯერ კიდევ ძლიერია. და დაჭრილი არწივივით ფრთებს ძლიერად აქნევს. ოჰ, რა კარგი, რა მომხიბლველია!.. მაგრამ არა, არ დავყვები, არ მოვულბები; დეე, აგრე ითრთოლოს სიბრაზისაგან, მალე შიშით აკანკალდება! მარიამ!

დედოფალი. (შესდგება). აგრე დაძახება აღარ გაბედოთ! გაიგეთ, რომ ამიერიდგან თქვენი ცოლობა აღარ შემიძლიან!

დარნლეი. აქამდის, მართალია, არა ყოფილხართ, მაგრამ დღეის შემდგომ-კი, ვიცი, იქმნებით! კათოლიკეთა ეკკლესია ცოლ-ქმარს არა ჰყრის; დღეის შემდგომ სიკვდილამდე ჩემი და მხოლოდ ჩემი იქმნებით!

დედოფალი. ღმერთო მართალო! ნუ თუ ინებებ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ამ კაცთან გავატარო! ოჰ, რა მომელის! (პირზედ ხელს მიიფარებს).

დარნლეი. მეტი გზა აღარ არის; ამიერიდგან თქვენი მბრძანებელი მე ვარ და მორჩილებასაც ველი! ვიდრემდის სიტყვას არ მომცემთ, იცოდეთ, ამ ციხიდამ ვეღარსად წახვალთ, თუნდაც მთელი სიცოცხლე აქ მოგიხდეთ ყოფნა!

დედოფალი. მორჩილებას? ჩემგან ელით მორჩილებასა?!.

დარნლეი. დიაღ!

დედოფალი. (მიუახლოვდება). გამცემელო! გამცემლის შვილო! იცოდე: დღეიდამ ერთად-ერთი ჩემი ფიქრი მხოლოდ ის იქმნება, რომ მაგიერი გადაგიხადო, დაგამდაბლო, შეგარცხვინო, ისეთისავე მწარე ცრემლით გატირო, როგორც დღეს მე მატირე! (მიდის).

გამოსვლა XII.

დარნლეი. (მარტოდ). როგორცა ვხედავ, ბრძოლა უფრო მწვავე და ხანგრძლივი იქმნება. ნუ-თუ გონიერი ლეტინგტონ მოსტყუვდა? ან იქნება მე მატყუებდა? შიშით მისი დამორჩილება არ შეიძლება. მართლაც და ხომ არ მოვტყუვდი? იქნება დღეს სამუდამოდაც დავკარგე იგი? არა, უთუოდ უნდა რაიმე საშუალება არსებობდეს, რომ კაცმა იგი დაიმორჩილოს! თავგანწირული სიყვარული, ერთგულება ვერაფერს გახდა, მაშ სხვა რამ საშუალება უნდა იყოს, თუნდაც შიში; ერთი და დამრჩენია: ცდა, ცდა და ცდა! ცხენი რომ ყალხზედ შედგება და ჰბორგავს, ვიდრე ოფლში არ გაქანდება, აღარ დადგება; მაგრამ თუ მცირეს შეიცდი, დაგმორჩილდება! წავალ რიჩიოს შევხედავ! ეტყობა თუ არა მოკლულს რაიმე ნიშანი ტანჯვისა!? (მიდის).

გამოსვლა XIII.

მორტონი და ლინდსეი.

მორტონი. ეს მოქალაქენი რაღა ეშმაკმა მოგვისია?

ლინდსეი. რა უნდა ვუყოთ?

მორტონი. თოფი მაგათ!

ლინდსეი. არა, არ ივარგებს, მაშინ მთელი შოტლანდია აჯანყდება! უნდა ისე როგორმე დავამშვიდოთ: უნდა როგორმე დავარწმუნოთ, რომ რეფორმატორთა ეკკლესიის სადიდებლად ვჩადივართ ამათ.

მორტონი. მერე, ასეთს სისულელეს ვინ დაუჯერებს.

ლინდსეი. ნუ-თუ მაშინაც სისულელე იქნება, თუ მოვახსენებ გრაფს მორტონს, რომ ეს ხერხი ჩემი გამოგონილია?

მორტონი. რა ხერხიც გინდა გამოიგონეთ, მაგრამ მოქალაქეებზედ-კი ნუ სცდით მას: ცეცხლთან ხუმრობა საშიშია. იმათ როგორღაც ველურად, აღტაცებულად უყვართ თავისი ახალგაზრდა დედოფალი. საკმარისია ერთი სიტყვა უთხრას და ამ ციხე-დარბაზს თვალის დახამხამებაზედ მიწასთან გაასწორებენ!

ლინდსეი. მაშ სარწმუნოების სახელით დავუწყოთ ლაპარაკი.

მორტონი. სცადეთ, აბა! ჰნახავთ რა უფრო ძლიერია—სარწმუნოება, თუ ლამაზის დედაკაცის ცრემლები!

ლინდსეი. დედოფალს ნება არ უნდა მივცეთ ხალხს ელაპარაკოს!

მორტონი. მერე, ვინ დაუშლის? მისი ფანჯრები პირდაპირ მოედანს გადაჰყურებენ.

ლინდსეი. არ უნდა ვალაპარაკოთ!

მორტონი. მაშ კარგი, მე ვიცი საშუალება...

ლინდსეი. მაგრამ ტყვიით კი არა!

მორტონი. მოქალაქეთ არა...

ლინდსეი. რას ამბობთ?

მორტონი. წარმოიდგინეთ, რომ თუ მოახერხა და დაელაპარაკა,—ყველაფერი—ეს ციხეც, ჩვენი ქონებაც და თვითონ ჩვენც ცეცხლის მსხვერპლად შევიქმნებით.

ლინდსეი. არა, არა, ეგ საშიშია!

მორტონი. მაგრამ მე არა ვარ აქ უფროსი?

ლინდსეი. ვგონებ, ორნივ ვართ.

მორტონი. არა, ორნივ ვერ ვიუფროსებთ.

ლინდსეი. მაშ თუ აგრეა, უფროსი მე ვარ.

მორტონი. მაშ, მოიმარჯვე იარაღი, უფროსობა მე მსურს.

ლინდსეი. ჰკუიდამ ხომ არ შეიშალეთ, რა დაგემართათ?

მორტონი. (დამშვიდებული). არა, მაგრამ არა მსურს უფლება გაგინაწილოთ. იარაღს ხელი, ლორდო ლინდსეი!

ლინდსეი. მაშ, თუ აგრეა, ლორდი ლინდსეიც არ შეგიშინდებათ!

მორტონი. მაგრამ არც დუგლასთა შთამომავალი მოგცემთ ნებასა, რომ უფროსობაზედ ხელი დააბანინოთ.

ლინდსეი. მერე, ვისა ჰსურს ეგ?

მორტონი. ვილა ეშმაკს არა! თქვენ ყველას! მე არ ვიყავი, რომ საქმე დავიწყე, და სახელი-კი მისი ლეტინგტონმა მიიწერა; მე არ ვიყავი, რომ ხალხი შევკრიბე, და უფროსობა-კი რუტვენმა იგდო ხელთ?

---

[*] იხ. „ივერია" № 96.

საჯს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებრძანა: კოლეჟსკი ასესორობა ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს აბაზაძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ტყვიბულის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს მესხს.

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 6 მაისს, მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ გორის ეპისკოპოსის კირიონისა და სამხედრო საკრებულოს სამღვდელოების თანამწირველობით გარდაიხადა წირვა და სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის-ძე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, გენერალი თავ. მ. კ. ამირეჯიბი, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი, ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი და სხვანი.

⁂ ამავე დღეს მთავარ-მართებლის სასახლეში სადღესასწაულო ნადიმი იქმნა გამართული.

⁂ ხვალ, 9 მაისს, ნიკოლოოზობა დღეს, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე მწირველი ბრძანდება კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში. წირვის შემდეგ აკურთხებენ ახალს საძირკველს, რადგანაც აზრადა აქვთ გააფართოვონ ეს ეკკლესია.

⁂ საერო განათლების სამინისტროს, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, მიუმართავს სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა და უმაღლეს სასწავლებელთა უფროსებისათვის და შეჰკითხებია იმ საგნების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ უმაღლესს სასწავლებლებში განზრახულ რეფორმასთან. ეს საგნები შეეხება საპროფესორო კოლლეგიის ორგანიზაციას, თეორეტიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას უმაღლესს სასწავლებლებში და სტუდენტთა წრეებს. საშუალო სკოლის რეფორმას, იმავე გაზეთების სიტყვით, ჯერ არ შესდგომიან, მაგრამ სამინისტროს პროექტები და აუარებელი მასალა მისდის თურმე რუსეთის ყველა კუთხიდგან.

⁂ იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ამ ჟამად შიო მღვიმის მონასტერშია, რომლის აღდგენისა და განახლების საქმეში მათ მეუფებას ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის. 9 მაისს, წმ. შიო მღვიმელის ხსენების დღეს, მათი მეუფება მწირველი იქმნება ხსენებულს მონასტერში და აკურთხებს განახლებულს ეკკლესიას.

⁂ 6 მაისს განსაკუთრებულმა კომისიამ გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით დაათვალიერა ახლად გაყვანილი ვარდის უბნის ცხენის რკინის გზა წყნეთის ქუჩაზედ, სადაც ვაგონების მიმოსვლა უკვე დაიწყო. კომისიამ დანიშნა ადგილები ვაგონების გასაჩერებლად და საჭიროდ სცნო მოკირწყლულ იქმნას წყნეთის ქუჩა ქალაქისა და უსახელო საზოგადოების ხარჯით.

⁂ როგორც კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შედგენილ ხარჯთ აღრიცხვიდგანა სჩანს, საზოგადოებას შემოსავალი ექმნება წელს წევრთაგან 1000 მან., მთავრობისაგან შემწეობად 6,000 მან., გაზეთიდგან შემოსავალი 600 მან. და სხვა, სულ 9260 მან; ხოლო გასავალი მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის 2040 მან., გაზეთისათვის 3600 მან., საბაღოსნო ბაღის შესანახად 1200 მან. და სხვანი, სულ 9260 მან. ამ ხარჯთ-აღრიცხვას საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება განიხილავს პარასკევს, 11 მაისს.

⁂ განსვენებულის კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთ შეუძენიათ კიროჩნის ქუჩაზედ 570 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა სახალხო სახლის ასაგებად. ამ სახლის აგებას ამ ზაფხულსავე შეუდგებიან. („ახ. მიმ.“)

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, შავი-ქვის მწარმოებელთა უკანასკნელ კრების შუამდგომლობის თანახმად, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო ქუთაისიდგან ჭიათურაში იქმნას გადატანილი. ამავე საბჭოს 1000 მან. გადაუდვია საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან 100 წლის შესრულების დღესასწაულისათვის.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას გარდაუწყვეტია გადასდოს ადგილობრივ ერობიდგან 9 ათასი მან. იმათ დასაჯილდოვებლად, რომელთა მიწაზედ გაყვანილ იქმნა ნაქერალის გზა.

⁂ როგორც „ცნ. ფურ.“-ს შეუტყვია, ამ ცოტა ხანში ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი თავად-აზნაურთა საქმეების გამო პეტერბურგში აპირებს თურმე წასვლას.

⁂ 1900 წლის 1-ლ იანვრამდე ტფილისის გუბერნიაში მებატონეთაგან სანადელო მიწა, სულ 15,125 დესეტინა, შეუსყიდია 3,475 კომლ გლეხს.

⁂ ბათუმის ქალაქის გამგეობა დღეს, 8 მაისს, მიიღებს „ოლშევიჩისა და კერნის“ ფირმისაგან ელექტრონის გასანათებლად გამართულს მოწყობილობებს.

⁂ როგორც „Черноморскій Вѣстникъ“-ი სწერს, უფროს დარაჯის ასათიანის მკვლელისათვის ჩამოხრჩობა გარდაუწყვეტიათ.

⁂ შაბათს, 5 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების ივანე მაისურაძისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან ამ 2 წლის წინად სოფ. საგარეჯოში ჩხუბის დროს დასჭრა ამ სოფლის მცხოვრები გლეხი ივანე აზარიაშვილი, რომელიც ამ ჭრილობით რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იყო ცნობილი მაისურაძე და გარდაწყვეტილი ჰქონდა ყოველსავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და 1¹/₂ წლის პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებაზედ წარსულ პარასკევს, 4 მაისს, განუხილველად დარჩენილ საქმეების განსახილველად, მაგალითად, საზოგადოების ამა 1901 წლის შემოსავალ გასავლისა და ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად, სარევიზიო კომისიის წევრების ასარჩევად და სხვანი, დანიშნულია საზოგადოების წევრთა კრება პარასკევს, 11 მაისს, საღამოს 8 საათზედ.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას ამ დღეებში სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობის წინადადების თანახმად, რათა განეხილა საქმე მიხეილის სახელობის ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ. კომისიამ დაადგინა ამოირჩიოს განსაკუთრებული მცირე კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ახალი პროექტი სახელოსნო სასწავლებლისა მთავრობის განკარგულებისამებრ გადასაკეთებლად და შემდეგ ეს პროექტი წარუდგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს. მცირე კომისიას, რომლის წევრებადაც არჩეულ იქმნენ საბჭოს ხმოსნები მელიქ-ბეგლიაროვი, ა. ბაბოვი, ნ. კარაპეტოვი და ლისიციანი, სხდომა ექმნება ქალაქის გამგეობაში ხუთშაბათს, 10 მაისს, ამ პროექტის შესამუშავებლად.

⁂ ამ დღეებში პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვიდა საუფლისწულო მამულების გამგე ბ-ნი კოჩუბეი, რომელიც კახეთის საუფლისწულო მამულების დათვალიერებასაც აპირებს.

⁂ შაბათს, 5 მაისს, სხდომაზედ, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის სასწავლებლების შემდეგ მასწავლებელ ქალებს: ა. გ. ხახუტაშვილს და ნ. ს. გალუმოვს, თითოს ხუთ-ხუთი

ახლა-კი ჩემი ჯერია; მე ვიქმ იმას, რასაც ვერც ერთი თქვენგანი ვერ გაჰბედავდა: მთელს ამ არეულობას ერთის დაკვრით, ერთი მსხვერპლით დავაბოლოვებ. იარაღი მეთქი, რადგან წინ მეღობებით!

ლინდსეი. ჰკუიდამ შეიშალა! (ხმალს ამოიღებს).

გამოსვლა XIV.

იგინივე. შეიარაღებული ხალხი შემოდის.

ერთი იმათგანი. (სწრაფად). უზრდელობაა! მოქალაქეთ დედოფლის ნახვა ჰსურთ, ლამის არის ციხე შემოანგრიონ!

მორტონი. დედოფალს კარები შეუმტვრიეთ და ფანჯარასთან დარაჯი დააყენეთ. თუ რომ გაბედოს და ფანჯარასთან მივიდეს—თოფი ესროლეთ!

ლინდსეი. ბიჭი იქნება და გაჰბედავს ვინმე; პატრიკ ლინდსეი მას პასუხს აგებს!

მორტონი. მაშ თუ აგრეა, მე ვკისრულობ! უკან მომყევით, მეგობრებო! (გადის; ზოგიერთები გაჰყვებიან).

ლინდსეი. გაფიცებთ ზეცას, ვეღარა ვცნობ ამ კაცს დღეიდამ! (გადის, მასაც თან რამდენიმე კაცი გაჰყვება. ერთ ხანად სცენაზე დარჩენილთა შორის სიჩუმე არის. ყურს უგდებენ. ძირიდამ ხმაურობა ისმის: „გრაფს მურრეის გაუმარჯოს!“ შემდგომ: „სახელმწიფოს რეგენტს გაუმარჯოს!“. ხმაურობა თანდათან ახლოდამ ისმის... შემოდის გრაფი მურრეი თავის აზნაურით, ამათ თან მრავალი ხალხი მოსდევს).

გამოსვლა XV.

გრაფი მურრეი. ხალხი. აზნაურნი. შემდგომ დედოფალი.

მურრეი. დედოფალი სად არის? ხალხს მისი ნახვა ჰსურს! ხმას არ იღებთ? ნუ თუ დედოფალი საშიშს მდგომარეობაშია?

დედოფალი. (ტანთ სამძიმო კაბა აცვია; სჩანს აჩქარებით ჩაუცვამს, რადგანაც რიგზედ არ ადგას). მიშველეთ, შოტლანდიელნო! მე, უშემწეოს ამოღებულის მახვილით უკან მომდევენ! (ამოღებულს იარაღს დაინახავს და შეჰკივლებს). მომაშორე, მომაშორე იგი! ცქერა აღარ შემიძლიან! შოტლანდიის ერო, შენი დედოფალი დაიფარე! ნუღარ აგვიანებ, ნუ მტანჯავ, გევედრები! კიდევ, კიდევ! (წამოხტება და როგორღაც დაბნეულად იყურება აქეთ-იქით). ოჰ, ნეტავ, ბედმა რად მომიყვანა ამ ქვეყანაში, ამ ჩემგან უცნობს, უცხო ხალხში?! თქვენი, ყველასი მეშინიან! გამიშვით უკან! ოო, კარგად მახსოვს, სველს ბაქანზედ როგორ ვიდექი... ზღვა ღრიალებდა... მკაცრი ქარი ძვლებს მიკრუნჩხავდა... შორიდამ ჯანყ-ბურუსითა და ნისლით მოცული, მოქუშული შოტლანდიის ნაპირები მოჩანდნენ... გული შემეხუთა, უცბად ცეცხლის ალმა დამიარა... იგი ეხლაც-კი მწვავს!.. გამიშვით ისევ საფრანგეთში! აქ ყველაფერი ბნელით არის თითქოს მოცული, გაყინულია... ქალაქში რომ შემოვედი—დიდის, დღესასწაულებრივის კორტეჟით შემომეგებნენ... ხალხის მხიარულ სალამისა და მუსიკის ნაცვლად ფსალმუნთა გალობა ისმოდა, თქვენი საკრავები რაღაც მძიმესა და მწუხარე კილოს უკრავდნენ... ყვავილებისა და გვირგვინების მაგიერად თავზედ დაბადების სხვა-და-სხვა გულშემზარი სურათები—მკვლელობათა და დასჯთა—აგეფრიალებინათ... არც ერთი მეგობრული სახე, არც ერთი ღიმილი, არც ერთი გამამხნევებელი თვალი ვერ ვნახე აქა!.. გამიშვით, შინ წავიდე! იქ მზე ანათებს, იქ ნათელია... იქ დედაკაცს თანაუგრძნობენ, კანონს პატივსა სცემენ, დაჩაგრულთათვის ჰზრუნავენ, იქაა მთლად ჩემი წარსული ახალგაზრდობა, ბრწყინვალე წარსული!.. გამიშვით, გამიშვით! (მუხლის თავზედ დაიჩოქებს. შემოვა მორტონი ჯარისკაცებით. ამათ რომ დაინახავს, დედოფალი შეშინებული წამოვარდება და განზედ გადგება). აგერ ისინი! ჩემი მოკვლა უნდათ!

მურრეი. (წინ წადგება). გრაფო მორტონ! მახვილი ჩააგეთ! (მორტონი დაჰმორჩილდება, მაგრამ ზოგიერთნი, უკან მდგომნი, ისევ იარაღ ამოღებულნი სდგანან). გრაფო, დააპატიმრეთ, შეიპყართ ყველანი, ვინც-კი იარაღს არ დაჰყრის! (მორტონი ბრძანებას გასცემს; ამათ გარს შემოეხვევიან და გარეთ გაიყვანენ. ახლად შემოსულს ლინდსეის). ლორდი ლინდსეი ციხეს უდარაჯებს! დედოფლის სახლში იარაღით შესვლა არავინ გაბედოს! წადით! (სცენა დაცალიერდება).

გამოსვლა XVI.

დედოფალი. მურრეი.

დედოფალი. (განცვიფრებული შეჰხედავს მურრეის, რომელსაც აქამდე ყურს უგდებდა). ჯემს! (მიჰვარდება და მოეხვევა). ო, შენ რომ აქ ყოფილიყავ, ხომ არა მოხდებოდა-რა!

მურრეი. მე რომ აქ ვყოფილიყავ, ჰენრიხ დარნლეი თქვენი ქმარი არ იქნებოდა და არც შოტლანდიის ლორდები დაგიწყებდნენ მტრობასა!

დედოფალი. ო, ჯემს, მე რომ შენი რჩევა გამეგონა, ხომ!..

მურრეი. ჯერ კიდევ გვიან არ არის.

დედოფალი. არა, გვიან-ღაა, უნდა წავიდე სადმე! აქ დარჩენა აღარ შემიძლიან... ავადაცა ვარ!..

მურრეი. თქვენის უდიდებულესობისათვის სიმშვიდეა უთუოდ საჭირო... მმართვა-გამგეობას მე ვიკისრებ.

დედოფალი. მაგრამ შური უნდა ეძიო ჩემთვის, ჯემს!

მურრეი. შურისძიებაზე ფიქრს ჯერ თავი დაანებეთ, იფიქრეთ მხოლოდ, რომ მალე დედა იქმნებით; გიმეორებთ: სიმშვიდეა-მეთქი თქვენთვის საჭირო!

დედოფალი. სიმშვიდეო, მეუბნები... მაგრამ, განა ჩემებრ დამცირებულს ახსოვს-ღა იგი!

მურრეი. წადით თქვენ ნათესავებთან, მეგობრებთან, ეგ შავი ფიქრები გადაიყარეთ... მე ჩემის მხრივ ყოველგვარს საშუალებას ვიხმარ, რომ თქვენი მტრები ღირსეულად დაისაჯნენ!

დედოფალი. ოჰ, ეს სირცხვილი, ეს ცრემლებისაგან დამძიმებული გული, ცრემლებისგან, რომელთა შეშრობასაც მთელს ჩემს სიცოცხლეში ვერ შევძლებ! არა, შერიგება შეუძლებელია, სხვა რამ საშუალება უნდა ვეძიოთ! (კარებში შიკრიკი გამოჩნდება; ერთს ნაბიჯს წინ წამოსდგამს, დედოფალს მუხლს მოუდრეკს და წერილს მიართმევს; დედოფალი გამოართმევს; შიკრიკი წავა. დედოფალი კითხულობს). „სამის დღის შემდგომ, სამი ათასი კაცით,—ბოტველი“... უცბად ვერ გაიგებს აზრს და ხელ მეორედ კითხულობს) „სამის დღის შემდგომ, სამი ათასი კაცით,—ბოტველი!!!“

გამოსვლა. XVII.

იგინივე. დარნლეი.

დედოფალი. (კარებში რომ დარნლეის დაინახავს, გაექანება, ხელს დაუშვერს და წინ მოჰყავს). გსურს განთავისუფლო?

დარნლეი. (შეშინებული უკან დაიწევს). გაგანთავისუფლოთ თქვენ?!

დედოფალი. (წერილს მაღლა აიწევს). სამის დღის შემდგომ ბოტველს სამი ათასი კაცი ეყოლება,—მოღალატეთ დამარცხება და შერცხვენა მოელით! შენ ვის მიემხრობი?

დარნლეი. ბოტველი გაიქცა!

მურრეი. (სხვა მხარეს) გაქცეულა!

დედოფალი. (დარნლეის). ახლა შენ შენის თანამოაზრეებით შეგიძლიან დამაპატიმრო, ან სხვაგან სადმე გამიტაცო, მაგრამ იცოდე, ამითი შოტლანდიის სიძულვილისა და ქვეყნის წყევის მეტს ვერაფერს დაიმსახურებ! შენ-კი, ჰენრიხ, ამის შემდგომ იმედნადვე უნდა ელოდე ჩემგან სიყვარულს, როგორც აგერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმნით, ხოლო ქ-ნ ბროძელისას და გოგნიაშვილისას—25 მან. თითოს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ჩაქვსა და კალაკერანში დაარსებულ იქმნა სახელმწიფო შემნახველ კასის განყოფილებანი.

⁂ ამავე გზის მე-728—729 ვერსზე გამართულ იქმნა მატარებლების გასაჩერებელი ლიანდაგები.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა მე-7 ნაწილის პოლიციის ბოქაულს თვალ-ყური ადევნოს იმ დალალებს და ჩარჩებს, რომელნიც ქალაქის საქონლის გასაჩერებელ ბაკში ნახევარ ფასად ყიდულობენ საქონელს და შემდეგ ძვირად ჰყიდიან ხოლმე.

⁂ მომავალ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოროვე ბუფეტის გამართვის საქმე იჯარით აუღია „ბოიარის სასტუმროს“ პატრონს ს. სხირტლაძეს იმ პირობით, რომ ამ ბუფეტების შემოსავლიდგან 15% გადასდოს გამოფენის სასარგებლოდ.

⁂ მოგვივიდა „Кавказскій Вѣстникъ“-ის მე-5 ნომერი. სხვათა შორის ამ ნომერში მოთავსებულია „სტუდენტები“, ამბავი ლ. ყიფიანისა; „მამიდა ასმათი“, მოთხრობა გ. წერეთლის, თარგმანი ელ. წერეთლისა და სხვანი.

⁂ რედაქციამ მიიღო ტფილისის ქალაქის სასამართლოსთან არსებულ ნაფიც ვექილთა კომისიის ანგარიში 1900 წლის.

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბის“ მე-4 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: ლუარსაბ პატრონი გაუჩნდა—მ. გაბაშვილისა; ⁂ ლექსი (ნადსონიდან).—დავიწყებულისა; მარიამ შოტლანდელი.—დრამა ხუთ მოქმედებად, მე-II და მე-III მოქმედება, ბიორნსტიერნე ბიორნსონისა (თარგმანი); ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში.—ივ. ჯავახიშვილისა; ცეცხლი და მისი მნიშვნელობა პირველყოფილ კაცის ცხოვრებაში ალ. მაღალაშვილისა; სამეგრელოს აღწერა.—XXXIII—XXXIV—არქანჯელო ლამბერტისა.—(იტალიურით),(დასასრული). არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.—ე. თაყაიშვილისა; ერეკლე მეორის წერილები გაბრიელ ყაზბეგიშვილთან; უცხოეთის მიმოხილვა.

⁂ 5 მაისს სადგურ კარაკლისში, მიწის ზვავი ჩამოწოლილა რკინის გზაზედ და მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებულ იქმნა.

⁂ 5 მაისს, ბაქოს სადგურში მაშინისტის თანაშემწე დიმიტრი ქდანოვი ორთქლმავალიდგან გადმოსხმულ მდუღარეს დაუშავებია.

⁂ ბაქოს სადგურში მიმავალ მატარებელზედ ახტომის დროს მეისრეს პეშრენკოსათვის ორთქლმავალს მარჯვენა ხელის ორი თითი მოუტეხია.

⁂ ხვალ, 9 მაისს, ავჭალის სახალხო წარმოდგენათა სადგომში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ანტონ ფურცელაძის დრამას „ყაჩაღებს“. წარმოდგენა საღამოს 7½ საათზედ დაიწყება.

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსულ გაზეთ „Россія“-ში დაბეჭდილია ბ-ნ ალექსანდრე ნოვიკოვის წერილი ამ სათაურით: „საქართველოს შემოერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო“. ავტორი წერილისა თავში ამბობს, რომ „დიდ დღესასწაულისთვის ემზადებიან ტფილისში: ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობს, ასი წელიწადია, რაც მან ერთ-მორწმუნე რუსეთს მიჰმართა შემწეობისათვისაო“. ამის გამო იმართება გამოფენა, მზადდება დღესასწაულები და სხვა. არ შევეხები ოფიციალურს მხარეს დღესასწაულისასო,—სწერს ბ-ნი ნოვიკოვი,—მინდა მხოლოდ ის გრძნობანი გამოვთქვა, რომელთა შესახებაც ეხლა ლაპარაკობენ და რომელნიც საიუბილეო დღესასწაულებსა და ძეგლებში უნდა გამოიხატოსო.

„ერობა საქართველოში არ არსებობს,—განაგრძობს ავტორი,—ქალაქის თვით მმართველობა უმრავლეს ადგილას ქართველების ხელში არ არის. ამიტომ ქართველთა გრძნობის გამოცხადება წილად ჰხვდა საქართველოს, ე. ი. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას. ქართველი ხალხი—უმთავრესად არისტოკრატიულია. აზნაურის წოდებას დიდად აფასებენ როგორც თვით აზნაურნი, აგრეთვე სხვა წოდებისანიც. ამიტომ შეცდომა არ იქნება, თუ ქართველ თავად-აზნაურთა მოქმედებას მთელ ქართველ ხალხის მოქმედებად ჩავთვლით. იმ დროს, როდესაც ქალაქ ტფილისმა მოისურვა იდღესასწაულოს იუბილეი საქართველოსა და მთელ კავკასიისათვის სასარგებლო საქმით: დააარსოს პოლიტეხნიკუმი; იმ დროს, როდესაც ეს საქმე დაუახლოვებდა განაპირა ადგილს მეტროპოლიას, რუსულს მეცნიერებას შეიტანდა ამ განაპირად მდებარე კუთხეში,—თავად-აზნაურთა დღესასწაულს ამ დროს სულ სხვა ხასიათი აქვს. განზრახულია შემდეგი: 1, გამართონ ნადიმი მთელის ქვეყნისათვის: სახალხო სეირნობა და ბალი არა მარტო ტფილისისა, საქართველოსი, კავკასიისათვის, არამედ თითქმის მთელის რუსეთისათვის. ჰფიქრობენ მიიწვიონ თითქმის ყველა ის, ვინც-კი წარჩინებულია რუსეთში, მინისტრებიდგან დაწყობილი... 2) აგონ ძეგლი ასის წლის შესრულების სახსოვრად, მაგრამ ძეგლი არა საქველ-მოქმედო, არა განმანათლებელი, არამედ ნივთიერი სიმბოლიურ მხატვრული.

„ეს არის და ესა პირველ განზრახვის გამო დიდ ხანს არ შევჩერდები. ან კი რა უნდა ითქვას ისეთ ნადიმის შესახებ, რომელზედაც მთელ ქვეყანას ეპატიჟებიან? მაგონდება ქართველ ნიჭიერ მწერალ ქალის ვ. ვედრებისელის პატარა მოთხრობა, მგონი, „Рус Бог.“-ში დაბეჭდილი. აწერილია ნათლობა ქართველ თავადიშვილის ოჯახში. იწვევენ აუარებელ ხალხს, აგირავებენ ყველაფერს, რის დაგირავებაც კი შეიძლება,—ნადიმი მართლაც საუცხოვო გამოდგა, მაგრამ... მეორე დღეს მეზობლებთან თავადის ოჯახიდგან კაცი გაჰგზავნეს ერთი მუჭა ჩაისათვის... ამასვე ხომ არ აპირობს ეხლა ტფილისის თავად-აზნაურობა.

„მე ნამდვილი რუსის აზნაური არ ვიქნებოდი, ამგვარ დღესასწაულებისა რომ არაფერი გამეგებოდეს. საუკეთესო სახლი ყოველ საგუბერნიო ქალაქში — თავად-აზნაურთა სახლია. თვით ჩვენ ნახევრად დაქცეულსა და ხავსით შემოსილ სახლში ვცხოვრობთ, სამაგიეროდ ჩვენის თავად-აზნაურობის სახლები შიგნით მარმარილოთია დაფენილი. ნავთი ნისიად მოგვაქვს მეწვრილმანისაგან, კრებებისათვის კი თავს ვიყრით შიგნითა და გარედ ელექტრონით განათებულს სასახლეებში. შინ ხშირად ფული უსაჭიროეს მოთხოვნილებათათვის არა გვეოფნის, თავად-აზნაურთა კრებებზედ-კი სამაგალითო ნადიმები იმართება, შამპანიური გამოულეველია, სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევს. ყველა ეს კარგად მესმის... ყველანი ასეთები ვართ. ასეთებივე არიან ქართველებიც. შეიძლება, რასაკვირველია, გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი ქართველები ქონებას აგირავებენ დღესასწაულებისათვის, რომ ეს ქონებანი დღემდე გამოუსყიდველია. მაგრამ საკითხი აი რა არის: ქართველ თავად-აზნაურთ რად უნდა ახსოვდეთ ეს, როდესაც ჩვენ, რუსის თავად-აზნაურნი, ამასვე ვჩადივართ და აღარ გვახსოვს?

„რაც შეეხება ძეგლს, ეს საქმე სადილზედ უფრო საყურადღებოა. სადილი კარგი რამეა. ისადილებ—და გათავდა, შემდეგ გადაავიწყდება კიდეც ეს სადილი. გრჩება მხოლოდ ტკბილი მოგონება მხიარულად გატარებულ დროსი და სხვა არაფერი. ძეგლი-კი საუკუნოდ რჩება. ძეგლს აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეს სერიოზულად უნდა შეხედოს ყველამ.

„ქართველ თავად-აზნაურობას აი როგორის ძეგლის დადგმა აქვს განზრახული: დედაკაცი—რუსეთი—ზის, იმის ფეხთით წევს დაჩაგრული საქართველო. დავაკვირდეთ, რამდენად კარგად ჰხატავს ეს ძეგლი ჩვენ დამოკიდებულებას, და რამდენად სასიამოვნოა იგი ჩვენ, რუსთათვის. ყოველის მხრიდგან შევიწროებული საქართველო ერთ-მორწმუნე რუსეთის სთხოვდა შემწეობა დახმარებას და ჰპოვა კიდეც ეს შემწეობა. მაშასადამე ჩაგრულობა მორჩენილა? განიკურნა საქართველო? არაო,—გვეუბნება ძეგლი:—საქართველო ჯერ ისევ დაჩაგრულია! ვისგანაა დაჩაგრული? რუსეთისაგან ხომ არა? არა, ეს ძველ, განვლილ ჩაგრულობათა მოგონებაა. მაშ რაღა საჭიროა ამ განვლილ ჩაგრულობათა აღნიშვნა ძეგლზედ? უკეთესი არ იქნება დავიწყებას მიეცნენ ეს ჩაგრულობანი, თუ საქართველო მართლაც განიკურნა? სისხლისაგან ხომ აღარ იცლება იგი!

ას ჩემი ფანჯრის პირდაპირ რკინის მოაჯირი.

დარნლეი. (შეშინებული) ვინ მისცა ნება, რომ ბოტველი გაქცეულიყო?!

დედოფალი. ჰენრიხ, გეტყობა ჰგონობ! ყური დამიგდე: თუ რომ აჯთაგან განმათავისუფლებ და ულადი და სწრაფად ბოტველის ბანაკში მიმიყვან, მაშინ იქნება ამ ღამით ლტოლვის დროს შერიგების ცისკარმაც აღმოაშუქოს.

დარნლეი. ო, მარიამ!

დედოფალი. გეფიცები, ჰენრიხ, ა, როგორც ამ ჟამად არ ელავს ცა შურისძიებით, ისე ერთს დროს დადგება ღამე და მოგესმის, რომ შენს გარშემო ყოველისფერი ინგრევა საზარელის ხმით,—და თვითონ შენც დამძიმებული სინიდისი უზომოდ დაგტანჯავს... თუ ეს არა გსურს... უნდა ეხლავე დენბარის მაგარს ციხეში წამიყვანო... ირჩიე, რა უჯობესია!

დარნლეი. ო, მარიამ!.. ფიცი მიმიცია მოღალატეთ არ ვუღალატო.

დედოფალი. ჰმ! მოღალატეთ არ უღალატო! და მე, მე-კი, როგორც გიყვარვარ, შეგიძლიან მიღალატო! ყური დამიგდე: თქვენი საქმე წაგებულია; ან იქნება გსურს სამეფო დანაშაულისათვის შენც მათთან ერთად დაისაჯო? რა გაეწყობა!.. არც დაქვრივებაა ძალიან ძნელი!

დარნლეი. ო, მარიამ! შენის გულისათვის სამშობლო, მამა-პაპათა სარწმუნოება დავტოვე, თითქმის კაცის-მკვლელიც კი გავხდი; ნუ-თუ ამ უგუნურის სიყვარულისათვის ეხლა მოღალატეც უნდა გავხდე? არა, არა მსურს!

დედოფალი. ვგრძნობ, რომ ეს ღამე ბევრისათვის უბედურ ღამეთ შეიქმნება. ოჰ, ნეტავი მალე გათენდეს! ჰენრიხ, გავიქცეთ და რაც ამისთვის ჯილდო მოგელის, ეგ მომავალმა გაზაფხულმა იცის—დენბარის ციხის დაბერებულ მუხების ჩრდილს ქვეშ! (დარნლეი თითქოს გამოცოცხლდება). მაგრამ წინადვე ვერაფერს დაგპირდები... მოტყუება არა მსურს... ნაღველი ამ გულს გველივითა მწოვს... ეცადე, ჯერ როგორმე განმათავისუფლო.

დარნლეი. (ჩუმად) მურრეი, მართლა წაგებულია ჩვენი საქმე?

მურრეი. (ჩუმად) რამდენადაც მტრის თავზედ დასხმას მოულოდნელად ვაპირებდით, იმდენად საქმე წაგებულია.

დედოფალი. (მურრეის) შენ, ჯემს, მისთვის მოიქეც უკან, რომ დარნლეის სახელით სახელმწიფოს მმართვა მიგეღო,—მაგრამ ეხლა თავისს სახელს ველარ მოგცემს... (შესდგება, ელის, რომ დარნლეიმ დაიძაპარაკოს, მაგრამ იგი ჩუმად არის).

მურრეი. ვხედავ, აგრეა.

დედოფალი. გსურს ჩემის სახელით ჰმართო სახელმწიფო?

მურრეი (მცირე პაუზის შემდგომ). შენის სახელით?—შეიძლება, მხოლოდ ზოგიერთის პირობებით!

დედოფალი. მოგვეც ხელში მე და ბოტველს მოღალატენი და სამაგიეროდ სახელმწიფოს მმართვას მოგანდობ (პაუზა).

მურრეი. ეკკლესიის საქმეები?

დედოფალი. შემდეგისათვის დარჩეს. როდესაც მმართვას კვალად ვიკისრებ, შენ ვინ დაგიშლის განზედ გასდგე!

მურრეი. მზადა ვარ სამშობლო მხარეს ვემსახურო, მაგრამ მაინც ვიფიქრებ.

დედოფალი (ცოცხლად). მაგრამ ბჯანყებულებს თავს ხომ არ აჩვენებ, რომ?..

მურრეი. რა-კი გაიქცევით, უამისოდაც კარგად მიჰხვდებიან!

დედოფალი. მერე, შენ ხომ აღარ დაეხმარები?

მურრეი. იმათი საქმე წაგებულია.

დედოფალი. მაშ, ბედს მიანდობ ყველასა?

მურრეი. დიაღ, ისრევე, როგორც მე მომექცნენ ერთის წლის წინად.

დედოფალი. მაშ ყველანი დასჯილნი არიან!—შენ, ჰენრიხ, შენ რაღას იტყვი?

დარნლეი. მეც იმათ დღეში ვარ, რაღა მეთქმის!

დედოფალი. არა, ჰენრიხ, მჯერა, რომ, რაშიაც-კი ჩემთან დანაშაული მიგიძღვის, ყოველივე სიყვარულით მოგივიდა; მაშ ხსნა ისევ ამ სიყვარულში უნდა ვეძიოთ. ჰენრიხ, დენბარის ციხეში მარტონი ვიქნებით, ბევრ რამეზედ შეგვეძლება ლაპარაკი. სამს თვეს სრულიად დამშვიდებული უნდა ვიყო უთუოდ. ჰენრიხ, ნუ-თუ არა გსურს სამი თვე ჩემთან ერთად გაატარო მარტოდ-მარტომ?

დარნლეი. არა მსურს?!

დედოფალი. ჩვენ ხომ მარტოდ ორს არასოდეს არ გვიცხოვრია.

დარნლეი. არასოდეს, მას შემდეგ, რაც ჯვარი დავიწერეთ.

დედოფალი. ეს სულ რაღაც ბოროტი სულის ბრალია.

დარნლეი. დიაღ!

დედოფალი. მაშ თუ აგრეა, წამიყვანე დენბარს!

დარნლეი. მაგრამ ისინი, ვინც თან გამოგვყვებიან, მალევე გამომწირავენ შენს თავს.

დედოფალი. ჩვენ თან არავინ არ გამოგვყვება.

დარნლეი მაშ ჩემს მეტი სხვა არავინ?

დედოფალი. არავინ.

დარნლეი. მართლა?

დედოფალი. გეუბნები, მართლამეთქი.

დარნლეი. ოჰ, თუ მართლა ეგრეა, ეგ სიტყვები დენბარის გზას მიჩირაღდნებენ.

დედოფალი. მაგრამ, ჰენრიხ, უნდა შესძლო და დამიფარო!

დარნლეი. შევიძლებ კიდეც! როგორც საზღაპრო მზეთ-უნახავს, ისე დაგიფარავ! მომეცი მხოლოდ სიტყვა, რომ სამს თვეს მარტოდ-მარტონი ვიქნებით!

დედოფალი. სამს თვეს და მალე შემდეგ გაზაფხულიც დადგება!

დარნლეი. მარიამ, თუ სამს თვეს ერთად ვიცხოვრებთ...

დედოფალი. მაშინ მთელს სიცოცხლესაც ერთად გავატარებთ, განა! მხოლოდ იცოდე, უნდა სულმთლად გამოიცვალო!

დარნლეი. ჯერ სურვილი ვერ გაგიელვებს და ვერ მოასწრებ აზრის გამოთქმას, რომ მე უკვე ყოველივეს შეგისრულებ! ო, საყვარელ კაცის გულისათვის თავგანწირვისთანა რაღა იქნება! მაგრამ, წინად ხომ შენ თვითონ არა გსურდა ეს. მეც მეგონა, შენ სხვას ეძებდი... იმიტომაც მოესწარ ამ ღამეს!...

დედოფალი. (სიტყვას გააწყვეტინებს). გავექცეთ მალე ამ ღამეს, გავექცეთ! დარნლეი! მურრეი! (შუაში ჩაუდგება, ორთავეს ხელს ჩაავლებს და წინ მიჰყავს). სამთავემ უნდა დავივიწყოთ ყოველივე და ვაპატიოთ ერთმანეთს. ახლა, ძმაო ჯემს, პირობა მომეც, რომ მშვიდობიანობას დაიცავ.

მურრეი. (პირობის ნიშნად თავს დაუქნევს).

დედოფალი. და შენ-კი, ჩემო ჰენრიხ, დარაჯთ დაითხოვ და ჩემთან წამოხვალ დენბარის მაგარს ციხეში არა?

დარნლეი. დეე, აგრე იყოს, როგორცა გსურს! (დარნლეი და მურრეი გადიან).

დედოფალი. ოჰ, როგორ დავიღალე... მთლად მოწყვეტილი ვარ... მაგრამ ისევ შოტლანდიის დედოფალი ვარ; ღვთისა წყალობათ მიპყრია ტახტი, კანონათ—ჩემი მახვილი!

ფარდა.

„დაჩრილი, უმწეოდ მწოლარე თავისს მხსნელის ფეხთით,—განა ესაა ჩვენის დამოკიდებულებათა ალეგორია? მე რომ ქართველი ვიყო, ასის წლის წინად რუსეთს მივმართავდი შემწეობისათვის; რუსი—დავიცავდი საქართველოს, მაგრამ შემდეგ ვისურვებდი, რომ ჯანმრთელი მენახა იგი და არა დაჩრილი, ფეხზედ მდგომი და არა მწოლარე, მახვილით ხელში თავისის მხსნელის დამცველად და არა ულონო იმის ფეხთით.

„განა უკეთესი არ იქმნება სხვა პროექტი? წინდაწინვე ვამბობ, რომ ეს პროექტი ჩემი არ არის, იგი სხვისაა, რომელსაც სხვა და-სხვა მიზეზისა გამო არ შეუძლიან გამოთქმა, დიდად მგრძნობიარე კაცისა, ქართველისა, რუსეთის ერთგულის, მაგრამ მაინც ქართველისა. საქართველოს ფარი აქვს აფარებული, ეს ფარი რუსეთის ჭენიოსს უჭირავს, ხელში საქართველოს მახვილი აქვს, საერთო მტრისაკენ მიმართული. ასეთი ძეგლი არ იქმნება საწყენი ქართველ ხალხისათვის, როგორც განზრახული ძეგლი. ვფიქრობ, რომ ეს ძეგლი ჩვენთვისაც სასიამოვნო იქმნება. თუ იყო კიდეც საქართველო ოდესმე დაჩრილი, ეს ჩრილობა სასიკვდილო ხომ არ იყო, რომ სამგილო-მგილოდ გავხადოთ იგი? ან იქმნება ჩვენ არ შეგვიძლიან ამ ჩრილობის განკურნება?

„რუსეთის მთავრობის ქვეშ მრავალი ხალხია, ასე თუ ისე შემოერთებული. ჩვენ გვინდა ყველა მათგანი ჯან მრთელი იყოს და არა ავადმყოფი, როგორც ნამდვილადაა, არა დამახინჯებული და მოხებრ დამცირებული. რა საჭიროა ეს თავის დამცირება, შეურაცხმყოფელი როგორც ჩვენთვის, აგრეთვე იმათთვის? რა საჭიროა შეურაცხყოფა რუსთა, რომელთაც ეს არ დაუმსახურებიათ? იფიქრეს თუ არა პროექტის შემდგენელთ, რამდენად საწყენი იქმნება ამ ძეგლის დანახვა არა მარტო ქართველთათვის, ყველა რუსთათვისაც-კი. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს გარდაწყვეტილება საბოლოოა. ჯერ კიდევ არის დრო პროექტის გამოსაცვლელად".

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი

ლონდონი. „Stand."-ს ატყობინებენ შანჰაიდგან: სიანფუდგან მოსულმა მანდარინმა სთქვა, რომ იმპერატორის სასახლეში დიდ საბჭოს ცნობილი წევრი კან-ლი ვნახეო. ამბობენ კიდევ, რომ კანსუში ჯარი აჯანყდა, რადგანაც ჯამაგირს არ აძლევდნენო. იმპერატორის ბრძანებით დაითხოვეს ის ჯარი, რომელიც 1900 წლის დასასრულს მოვიდნენ ჩრდილოეთში იმპერატორის სახლობის დასაცველად.

აბბაცია. რუმინიის მეფე და დედოფალი დილით ბუხარესტში წავიდნენ, ხოლო საბერძნეთის მეფე საღამოს წავა.

კონსტანტინეპოლი. სერბიის ელჩი ხვალ წარადგენს ნოტას იმ ამბების შესახებ, რომლებიც ამას წინად ოსმალეთ-სერბიის საზღვარზე მოხდა და მოითხოვს, რომ სასტიკი ღონისძიებანი იქმნას მიღებული საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველ საყოფელად.

მეცი. იმპერატორი და იმპერატრიცა დილით მოვიდნენ. ჯარის დათვალიერების დროს იმპერატორს რუსეთის ანდრიას ლენტი ჰქონდა გაკეთებული. ჯარის მარჯვენა ფრთესთან იმპერატორს დილით მოსულნი რუსეთის ელჩი და საელჩოს წევრები ელოდებოდნენ.

ქრისტიანია. სეიმმა არ შეიწყნარა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ქალებს საზოგადო არჩევნების დროს ხმის უფლება მიჰნიჭებოდათ.

ბერლინი. პომერანიის საადგილმამულო სააქციონერო ბანკის ორივე დირექტორი, პომეიკი და შულცი, დაპატიმრებულ იქმნენ.

ლონდონი. „Daily Mail"-ი იუწყება, რომ ელჩებს ინგლისის წინადადება წარედგინათ, რათა ჩინეთმა საზღაურის გადასახდელად გამოსცეს ოთხ პროცენტიანი ობლიგაციები ნახევარ პროცენტის გადახდით. ამ გადასახადის წყარო მარილზე და ჩინურ ნავებზე დადებული გადასახადი იქნება. შემდეგ ინგლისის წინადადება ურჩევს ელჩებს, რომ პეკინის ბანკებში მოსამსახურეებისაგან საერთაშორისო კომისია შესდგეს, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ჩინეთის საფინანსო ოპერაციებს.

კრადოკი. ის რაზმი, რომლის უფროსი სვანეპული ამას წინად მოჰკლეს, ამ ჟამად პარსტონის ჩრდილოეთით იმყოფება. ამ რაზმმა ახალი უფროსი აირჩია. პოლკოვნიკ გოვანჯს ბრძოლა ჰქონდა ამ რაზმთან, სტრომბერგის აღმოსავლეთით: ბურებს 4 კაცი მოუკლეს და დაუჭირეს. რამდენისამე დღის წინად ბურების რაზმი ორანჟეს მდინარეს გავიდა და ზურის მთებისაკენ წავიდა; არ იციან რამდენი კაცია ამ რაზმში.

ბერლინი. გაზეთების სიტყვით, რუსეთის იმპერატორის დაბადების დღის გამო მოხდება ჯარების აღლუმი, რომელზედაც რუსეთის საელჩოს ყველა წევრნი არიან მიწვეულნი.

კიევი. შაქრის ბაზარი დაწყნარდა. ფხვნილ შაქარს ფასი დააკლდა. გამყიდველნი 1 ფუთ შაქარში 4 მ. 50 კაპ. თხოულობენ, რაიცა დადგენილ ფასზე 5 კაპ. ნაკლებია.

ნოვოჩერკასკი. როგორც დონის ოლქიდგან იუწყებიან, იქ ვენახები და ბაღები აპრილის გასულს ყინვას დაუზარალებია.

კონსტანტინეპოლი. პრევეზის მუტესარიფმა დაატუსაღა იანინში ბერძნის ეპისკოპოსი კოსმა, რომელსაც ბერძენთა პროპაგანდაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. საბერძნეთისა და რუსეთის ელჩები და აგრეთვე სამსოფლიო პატრიარქი სცდილობენ ოსმალეთის მთავრობასთან, რომ ეპისკოპოსი განთავისუფლებულ იქმნას.

6 მაისი.

პეტერბურგი. 5 მაისს, ცარსკოე სელოში, ხელმწიფე იმპერატორისა და დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით, რეალურ სასწავლებლის საძირკველი ჩაჰყარეს.

5 მაისს პეტერბურგში მობრძანდნენ დიდი მთავრები სერგეი ალექსანდრეს ძე და პეტრე ნიკოლოოზის ძე უავგუსტოესის მეუღლეებითურთ.

გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სამხედრო მინისტრის სახელობაზე: „იმ ღვაწლის სახსოვრად, რომელიც ჩვენმა ჯარმა ჩინეთის ომის დროს გასწია, საჭიროდ ვცანით დაწესებულ იქმნას მედალი ასეთის ზედ-წარწერით: „ჩინეთში გალაშქრებისათვის, 1900—1901 წლები" გულზედ სატარებლად. ამ ვერცხლის მედალს ვუბოძებთ ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში ჩინეთის იმპერიასა და აგრეთვე ბლაგოვეშჩენსკის დაცვის დროს. ბრინჯაოს მედალს იმათ, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში და აგრეთვე იმათ, ვინც იმ ადგილებში იყვნენ, სადაც სამხედრო წესრიგი იყო შემოღებული. ვამტკიცებთ რა წესებს, რომელთა ძალით ეს მედლები უნდა დარიგდეს, გავალებთ გადასცეთ ისინი, როდესაც მზად იქნება, პრიამურის სამხედრო ოლქისა და კვანტუნის ოლქის უფროსებს".

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა 1902 წლიდგან დაიწყონ პეტერბურგ-ტიხვინ-ჩერეპოვეც-ვოლოგდა-ბუი გალიჩ-ვიატკის რკინის გზის გაყვანა.

სოფია. როგორც ისმის, მინისტრ-პრეზიდენტსა და სამხედრო მინისტრს შორის შეთანხმება მოხდება სამხედრო ბიუჯეტის შესახებ, უმეტესადკი იმ საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება სამხედრო ბეგარის ორის წლის ვადის შემოღებას.

ბერლინი. ვალდერზეე პეკინიდგან იუწყება, რომ სხვა-და-სხვა ცნობებით, ზღვის ავაზაკები არა ერთხელ შემოჰსევიან შანჰაი-გუანს და ძარცვა-მოტყუება ჩაუდენიათ. გემი „ილტისი" პეჩილიის ყურეში მოვიდა, რათა დაათვალიეროს ზღვის სანაპირო ადგილები.

ბელგრადი. საღამოს დეპეშებმა მხოლოდ დღეს გამოაცხადეს მცირე შენიშვნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ დედოფლის ძეობიდგან განთავისუფლება, რომელიც ფრანგ მკურნალის კულეს აზრით ამ დღეებში უნდა მომხდარიყო, ეხლა მოსალოდნელი აღარ არის. ვენელი მკურნალი ვერტგეიმი და პროფ. კანტაკუზენი, რომელნიც აქ მოვიდნენ, დაეთანხმნენ რუს მკურნალთა აზრს.

მეცი. დღევანდელ სადღესასწაულო საუზმეზე 80-მდე კაცი იქმნა მოწვეული. მოვიდნენ: იმპერატორის მოადგილე გოგენლოე ლანგენბურგი, სამხედრო მინისტრი გოსლერი, იმპერატორის ამალა, რუსეთის ელჩი გრაფი ოსტენ-საკენი, რუსეთის საელჩოს წევრნი, გენერლები, ადგილობრივ რაზმების უფროსები, ოლქის პრეზიდენტი ცეპნელინი, საოლქო სეიმის პირველი პრეზიდენტი ჟორნე, საიმპერიო სეიმის დეპუტატი შმიდტი და სხვანი. იმპერატორს მარჯვენა მხრით უსხდნენ რუსეთის ელჩი და იმპერიის კანცლერი, მარცხენა მხრით—გენერალ-პოლკოვნიკი გენზელერი და პრინცი ჰენრიხი. საუზმის გათავებისას იმპერატორმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა.

მეცი. დღევანდელს სადღესასწაულო საუზმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იმავე დროს დღესასწაული იყო რუსეთის იმპერატორის დაბადების დღისა. თავის სიტყვაში იმპერატორმა ვილჰელმა მოიხსენია, რომ პრუსიის მეფეებს ყოველთვის ჩვეულებათ ჰქონდათ—რუსეთის ხელმწიფეების დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება. შემდეგ იმპერატორმა გაახსენა დამსწრეთ, რომ ვალდერზეეს ჩინეთში მთავარ-სარდლად დანიშვნიდან მალე ერთი წელიწადი შესრულდებაო. „თუ ეხლა იმედი მაქვს, განაგრძო იმპერატორმა, რომ მოკავშირეთა ჯარების უმეტესი ნაწილი მალე დაბრუნდება ჩინეთიდგან, უმთავრესად დამოკიდებულია იმ ნდობაზე, რომლითაც რუსეთის იმპერატორი ეპყრობა გრაფ ვალდერზეეს". ბოლოს იმპერატორმა სურვილი გამოსთქვა, რომ განათლებულ ერთა შორის ჩინეთში დამყარებულმა კავშირმა სარგებლობა მოუტანოს მშვიდობიანობის დიად საქმეს და წარმოსთქვა „hoch" იმპერატორის ნიკოლოოზის პატივსაცემლად.

7 მაისი.

პეტერბურგი. 6 მაისს ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს პეტერბურგი გამშვენებულ იქმნა ბაირაღებით. ყველა ეკკლესიასა, სასწავლებელსა და სახაზინო დაწესებულებაში სადღესასწაულო პარაკლისი იქმნა გარდახდილი. ისაკიევის საკრებულო ტაძარში წირვა გარდაიხადა ანტონ მიტროპოლიტმა. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.—6 მაისს ცარსკოე სელოში მობრძანდა ელინთა დედოფალი ქრისტეფორე ბატონიშვილითურთ.—6 მაისს ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს ცარსკოე სელოს დიდ სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა, რომელსაც დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალ-იმპერატრიცანი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული, ელინთა დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, ყველა დიდი მთავარი და მთავრინები.

დონის როსტოვი. როსტოვის ბიუჯეტს დააკლდა 210,000 მან. დეფიციტი.

მოსკოვი. დახურულს კარებში განხილულ იქმნა საქმე მკურნალის შატუნოვსკისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მან უვნებელი საწამლავი მისცა პენიევსკის ქალს, როცა მან სთხოვა მკურნალს შხამი თავის მოსაწამლავად; შატუნოვსკიმ გამოსტყუა ქალს სარგებლიანი ქაღალდები 2,000 მან. ღირებულობისა და დაარწმუნა, რათ გინდა ფული, შენ ხომ სასიკვდილოდ ემზადებიო.

ხაბაროვსკი. 1 მაისს, ჩიტაში აკურთხეს სამასწავლებლო სემინარიის შენობა.

ეკატერინოსლავი. დღეს გუბერნატორმა გახსნა ეკატერინოსლავის სამეცნიერო საზოგადოება.

კრონშტადტი. ატლანტიის ოკეანედგან მოვიდა გემი „ჰერცოგი ედინბურგელი".

მოსკოვი. მკურნალს შატუნოვსკის გარდაუწყვიტეს ნახევარის წლით დაპატიმრება.

ლონდონი. „Times"-ის კორესპონდენტი ტოკიოდგან იუწყება: „ლიხუნჩანგს იმედი აქვს შემოდგომის, იმპერატორის სახლობის პეკინში დაბრუნებისას აღადგინოს გულწრფელი დამოკიდებულება რუსეთთან, ურომლისოდ ჩინეთს არ შეუძლიან თავისის უშიშარ ყოფისა და დინასტიის დაცვის საქმეში".

აბაცია. საბერძნეთის მეფე დილით პოლაში წაბრძანდა.

ჰააგა. 1899 წელს გახსნილ საშვიდობო კონფერენციის სახსოვრად, გუშინ საყოველთაოდ იარაღის აყრის დედათა ლიგის კრება მოხდა, რომელსაც დაესწრნენ მინისტრები და საშვიდობო კონფერენციის დელეგატები. მინისტრმა დე-ბოფორმა გახსნა სხდომა და აღნიშნა კრების მნიშვნელობა და სამედიატორო სასამართლოს დაარსება; ზოგიერთ მჭევრ მეტყველთ ილაპარაკეს ხალხთა შორის მშვიდობიანობის სასარგებლოდ. რუსეთის იმპერატორსა და დედოფალს ვილჰელმინას პატივსაცემი დეპეშები გაუგზავნეს.

პეკინი. პიშონი წავიდა აქედგან, ვოგზალზედ გამოეთხოვა დიპლომატებს, გენერალს ვალდერზეესა და სხვა გენერლებს, უცხოელთა ოფიცრებს, პრინცს ცინსა, ლიხუნჩანგს. პეკინსა და შანჰაის შორის მიმოსვლა უზრუნველ-ყოფილია.

ბელგრადი. რანკო ტაისიჩს, რომელსაც სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს სახელმწიფოს ღალატობისათვის, და რომელიც ამ ჟამად ცეტინიეში იმყოფება, დანაშაული აპატიეს.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო" სარწმუნოდ ჰყოფს, რომ ტანჟერში მისულს ორს საფრანგეთის გემს მიზნად აქვს დაუყოვნებლივ გარდაწყვიტოს ფრანგის პუზეს მოკვლის შესახებ მოთხოვნილ დაკმაყოფილების საქმე.

იოკოჰამა. კაბინეტის შედგენას ის აბრკოლებს, რომ ინუიე, რომელსაც ეს საქმე მინდობილი აქვს, არ ეკუთვნის არც ერთს პოლიტიკურს დასს. დარწმუნებულნი არიან, რომ კაბინეტი რომელისამე დასისა და პარლამენტის წევრთა დაუხმარებლად ერთს სესიასაც არ გასტანს.

ბელგრადი. კაბინეტის გადადგომის შესახებ გავრცელებული ხმები საფუძველს მოკლებულია.

სტანდერტონი. ანსერსფორტსა და ერმელოს შორის ბურები [illegible] დაესხნენ გენერალ ბელოკის რაზმს და შემდეგ კაროლინაში წავიდნენ. 2 მაისს ბოტა თავისის რაზმით ერმელოდგან წავიდა. ამის შემდეგ ბლოკმა გაჰფანტა ერმელოს მცხოვრებნი, მაგრამ რა წამს ინგლისის ჯარები წავიდნენ, ბურები ისევ შევიდნენ ქალაქში. გენერალ ელიოტმა ერთ კვირის განმავლობაში მრავალი ბურთა ოჯახი, 4,000 ცხენი და საქონელი გაგზავნა სტანდერტონში.

წერილი რედაქციის მიმართ.

ხონის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო გულითად მადლობას უძღვნის ბ. ხონის მცხოვრებს აგრონომს [illegible] იესეს ძეს ბახტაძეს, რომელმაც $3^{1}/_{2}$ [illegible] მიწა შემოსწირა ამ სასწავლებელს სააგრონომო განყოფილების გასამართად.

ინსპექტორი ვ. პროკოპ[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Мая 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.